9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა
და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
შედგენის მომსახურების შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №1-1

ქ. ბათუმი 27 თებერვალი 2014 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ერმაკოვი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერის მ/შ;

გიორგი რამიშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორი;

ირაკლი სურმანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

მამუკა თამაზაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

ელგუჯა ხაზარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი - მხატვარი;

ნაზი ფუტკარაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ზვიად ბურჭულაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, არქიტექტორი, ქ. ბათუმის მერთან არსებულ სათათბირო ორგანო-არქიტექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

სხდომას არ ესწრებოდნენ:	- ვახტანგ ღლონტი - საკონკურსო კომისიის წევრი, თვითმმართველი ქალაქის-ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი განათლების, კულტურისა და შემოქმედებით ინტელიგენციასთან მუშაობის საკითხებში. - მაია ჭიჭილეიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ხელოვნებათმცოდნე; - ნინო ინაიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ისტორიკოსი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ბათუმი"; - დუგლას ზამთარაძე - არქიტექტორი.
დღის წესრიგი:	თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, ბულვარის ტერიტორიაზე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარედ განსათავსებელი, 9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.
მოისმინეს:	საკონკურსო კომისიის წევრმა - მამუკა თამაზაშვილმა საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, საკონკურსო პირობები და თანდართული დოკუმენტები. საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები, რომელიც შეესაბამება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მოთხოვნებს.
კომისიამ დაადგინა:	1. დამტკიცდეს ქ. ბათუმში, ბულვარის ტერიტორიაზე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარედ განსათავსებელი 9 აპრილის გმირთა მემორიალის საუკეთესო ესკიზის გამოვლენისა და მის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე საკონკურსო განცხადება. 2. ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილებას (ვ. ხინთიბიძე) ეთხოვის წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არა უგვიანეს 28 თებერვლისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ერმაკოვი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი რამიშვილი

საკონკურსო კომისიის წევრები: ირაკლი სურმანიძე

მამუკა თამაზაშვილი

ელგუჯა ხაზარაძე

ნაზი ფუტკარაძე

ზვიად ბურჭულაძე